კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო სტატუსის ხელახალი შეფასება ხდება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ყოველი საანგარიშგებო თარიღის დასასრულს. ვალდებულებები აისახება საგადასახადო მუხლებში, რომელთაც განსაზღვრავს კომპანია იმის მიხედვით, თუ სავარაუდოდ რომელ მათგანზე იქნება საჭირო დამატებითი გადასახადების გადახდა, თუ ამ მუხლებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ საგადასახადო ორგანოები. კომპანიის შეფასება ეფუძნება მოქმედი, ან საანგარიშგებო თარიღის დასრულებისათვის არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და სასამართლოს, ან სხვა ნებისმიერ ცნობილ გადაწყვეტილებას ამ საკითხებთან დაკავშირებით. ჯარიმების, საპროცენტო გადასახდელებისა და მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადების ვალდებულებების აღიარება ეფუძნება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დანახარჯების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულებების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის ბოლოსათვის.

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. გადასახადის გადამხდელების უმრავლესობას, მათ შორის კომპანიასაც, არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას. შესაბამისად, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ ანულირება გაუკეთა მისი ყველა გადავადებული მოგების გადასახადის აქტივს და ვალდებულებას.

2.14 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებულ მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.15 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

2.16 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებს და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონიერულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა, კომპანიის ხელმძღვანელობა, ასევე, მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

თავდებობა და გირავნობა დაკავშირებული მხარის საბანკო სესხების უზრუნველყოფის ფარგლებში.

კომპანია წარმოადგენს თავდებს (სოლიდარულ მოვალეს) და დამგირავებელს დაკავშირებული კომპანიის საბანკო სესხებზე. გენერალური ხელშეკრულებით კრედიტის ერთიანი ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც კომპანია წარმოადგენს სოლიდარულ მოვალეს, არის 3 მილიონი აშშ დოლარი. გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში საბანკო კრედიტი მიღებული აქვს დაკავშირებულ კომპანიას. ქვემოთ მოცემულია ამ გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში დაკავშირებული კომპანიის მიერ აღებული სესხების ჯამური ნაშთები:

	31.12.2020	31.12.2019
საბანკო სესხები	700	782
სულ ნასესხები საშუალებები	700	782

ამ სესხების ფარგლებში კომპანიას დაგირავებული აქვს აქტივები. ამ აქტივებთან დაკავშირებული დეტალები მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნა 3 ში.

ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ ამ ურთიერთობიდან გამომდინარე, კომპანიიდან არ მოხდება მომავალში ფულადი ან სხვა სახის ეკონომიკური სარგებლის გასვლა და დაკავშირებული კომპანია დამოუკიდებლად მოემსახურება ზემოთ მოცემული სესხის თანხებს. ამ მიზეზთა გამო წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

საექვო ვალების რეზერვი. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს სავაჭრო დებიტორების გაუფასურების შეფასებას. ამ პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებს და განსჯას გაუფასურების თანხის შეფასებისას იმ შემთხვევაში როდესაც დებიტორი აქვს ფინანსური პრობლემები და ამასთანავე რელევანტური ისტორიული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ამის მსგავსად, მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას კომპანია ეყრდნობა დაკვირვებად მონაცემებს, მათ შორის უარყოფითს რომლებიც ეხება დებიტორების ჯგუფების დონეზე გადახდისუნარიანობის გაუარესებას, ან ზოგად ეროვნულ ან საერთაშორისო ეკონომიურ პირობებს რომლებიც კორელაციაშია კომპანიის აქტივების გადახდისუნარიანობის სტატუსთან. იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივების ისტორიული საკრედიტო მახასიათებლები და გაუფასურების პირობები მსგავსია მიმდინარე აქტივებისა მაშინ შეფასებისას გამოიყენება ეს ისტორიული მონაცემები. მონაცემები. კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ საექვო ვალების წარდგენილი მონაცემები წარმოადგენს დებიტორების გაუფასურების თანხის საუკეთესო შეფასებას (იხილეთ ახსნა განმარტებითი შენიშვნა 7).

შპს “ნუტრიმაქსი”

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობა	ელევატო რი	მანქანა- დანადგარები	საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	დასადგმ ელი მოწყობი ლობები	სულ
ისტორიული ღირებულება							
31.12.2018	3,777	1,011	3,114	441	153	-	8,496
შეძენა	8	13	145	40	22	679	907
გასვლა	-	-	-	(128)	(59)	-	(187)
31.12.2019	3,785	1,024	3,259	353	116	679	9,216
შეძენა	29	-	1,533	109	43	146	1,860
რეკლასი	-	-	645	3	-	(648)	-
გასვლა	-	-	(67)	(2)	-	-	(69)
31.12.2020	3,814	1,024	5,370	463	159	177	11,007
ცვეთა							
31.12.2018	222	77	573	111	113	-	1,096
პერიოდის ცვეთა	83	26	211	47	10	-	377
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	-	(7)	(49)	-	(56)
31.12.2019	305	103	784	151	74	-	1,417
პერიოდის ცვეთა	83	26	272	54	12	-	447
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	(14)	(2)	-	-	(16)
31.12.2020	388	129	1,042	203	86	-	1,848
31.12.2018	3,555	934	2,541	330	40	-	7,400
31.12.2019	3,480	921	2,475	202	42	679	7,799
31.12.2020	3,426	895	4,328	260	73	177	9,159

კომპანიის მიერ აღებულ საბანკო სესხების უზრუნველყოფის მიზნით შემდეგი აქტივები ჩადებულია უზრუნველყოფაში იპოთეკისა და გირავნობის სახით, სხვა დამატებითი დეტალები მოცემულია ახსნა განმარტებით შენიშვნა 10 ში:

	მიწა და შენობა- ნაგებობა	ელევატორი	მანქანა - დანადგარები	საოფისე აღჭურვი ლობა	სატრანსპორ ტო საშუალებები	სულ
წმინდა საბალანსო ღირებულება:						
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,555	934	1,111	25	12	5,637
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,480	921	2,242	98	15	6,756
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,426	895	3,069	90	14	7,494

შპს “ნუტრიმაქსი”

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კომპანია წარმოადგეს თავდებს (სოლიდარულ მოვალეს) დაკავშირებული კომპანიის მიერ აღებული სესხებისა. ამ ურთიერთობის ფარგლებში კომპანიას 2019 წლის და 2020 წლის 31 დეკემბერს დაგირავებული აქვს მის საკუთრებაში არსებული ელევატორი (მთლიანი ელევატორის ჯგუფი), რომლის დეტალები მოცემულია ზემოთ ცხრილში. სოლიდარული მოვალეობის ურთიერთობის დეტალები მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნა 19.1 ში.

4. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	ლიცენზია	სულ
ისტორიული ღირებულება			
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	77	-	77
შეძენა	6	33	39
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	83	33	116
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	83	33	116
ცვეთა:			
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	25	-	25
პერიოდის ცვეთა	11	2	13
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	36	2	38
პერიოდის ცვეთა	12	6	18
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	48	8	56
წმინდა საბალანსო ღირებულება:			
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	52	-	52
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	47	31	78
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	35	25	60

5. გაცემული სესხები

	31.12.2020	31.12.2019
გრძელვანიანი სესხი		
მისაღები სესხის ძირი	125	136
მისაღები პროცენტი	10	19
მოკლევადიანი სესხი		
მისაღები სესხის ძირი	42	-
მისაღები პროცენტი	20	-
სულ გაცემული სესხები	197	155

სესხები არის ლარში, სესხები გაცემულია დამფუძნებელზე და დამფუძნებლის კონტროლის ქვეშ არსებულ კომპანიაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთებია - 4%, 6.5%.

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31.12.2020	31.12.2019
მზა პროდუქცია	1,098	974
გასაყიდი და სამეწარმეო პროცესში გამოსაყენებელი საქონელი	3,440	2,368
ჩანთები და ეტიკეტები დასრულებული პროდუქციისთვის	309	245
სხვა	197	85
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	5,044	3,672

შპს “ნუტრიმაქსი”

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

7. სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)

	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	3,113	2,535
საექვო ვალების რეზერვი	(421)	(352)
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)	2,692	2,183

	2020	2019
გაუფასურების რეზერვის საწყისი ნაშთი	352	150
ზრდა მიმდინარე პერიოდისთვის	86	261
გამოყენება	(17)	(59)
31 დეკემბრის მიხედვით	421	352

8. გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები

	31.12.2020	31.12.2019
გადახდილი ავანსები	39	142
წინასწარ გადახდილი დივიდენდები	639	343
წინასწარ გადახდილი გადასახადები	68	256
სხვა მოთხოვნები	-	7
სულ გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	746	748

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2020	31.12.2019
ნაღდი ფული სალაროში	3	2
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	127	469
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	8	161
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	138	632

10. ნასესხები საშუალებები

	31.12.2020	31.12.2019
გრძელვადიანი სესხი		
გრძელვადიანი საბანკო სესხი	2,551	2,283
ფინანსური იჯარა	290	349
დამფუძნებლისგან აღებული სესხი	655	-
მოკლევადიანი სესხი		
გრძელვადიანი საბანკო სესხის მიმდინარე ნაწილი და მოკლევადიანი საბანკო სესხი	5,516	4,625
ფინანსური იჯარა	107	107
დამფუძნებლისგან აღებული სესხი	-	574
გადასახდელი პროცენტი	22	31
სულ ნასესხები საშუალებები	9,141	7,969

შპს "ნუტრიმაქსი"

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ვალდებულების დაფარვის გრაფიკი:

	31.12.2020	31.12.2019
დასაფარია შემდეგი პერიოდების განმავლობაში:		
1 წელში	5,645	5,337
1-5 წელში	3,496	2,632
სულ ნასესხები საშუალებები	9,141	7,969

სესხები წარდგენილია შემდეგ ვალუტაში:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ლარი	2,927	3,582
აშშ დოლარი	4,016	3,822
ევრო	2,198	565

ეფექტური საპროცენტო განაკვეთები მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ლარში		
	9.4%, 9.5%, 10.5%, 11.22%, 12%, 13.34%, 13.48%, 13.24%	9.4%, 9.5%, 10.5%, 11.22%, 12%, 13.34%
სესხები კომერციული ბანკებიდან		
აშშ დოლარში		
სესხები კომერციული ბანკებიდან	6.4% , 7.46%	6.49%, 7.46%
ევრო		
სესხები დამფუძნებლისგან	9%	9%
სესხები კომერციული ბანკებიდან	5.20%, 5.21%, 5.22%, 5.26%, 6.6% ,	6.49 %

შპს “ნუტრიმაქსი”

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ლიზინგთან დაკავშირებული ჯამური მონაცემები მოცემულია ქვემოთ:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სრული ფინანსური დავალიანება-მინიმალური ლიზინგის გადასახდელები:		
1 წელში	163	173
1-5 წელში	356	453
სულ სრული ფინანსური დავალიანება-მინიმალური ლიზინგის გადასახდელები	519	626
ფინანსური ლიზინგის მომავალი პერიოდის ფინანსური ხარჯები	(122)	(170)
ფინანსური ვალდებულების დღევანდელი ღირებულება	397	456

ლიზინგით აღებული ძირითადი საშუალებები

	მანქანა - დანადგარები	დასადგმელი მოწყობილობები	სულ
წმინდა საბალანსო ღირებულება:			
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,147	-	1,147
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	149	530	679
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	734	-	734

კომპანიის მიერ აღებულ საბანკო სესხების უზრუნველყოფის მიზნით შემდეგი აქტივები ჩადებულია უზრუნველყოფაში იპოთეკისა და გირავნობის სახით.

	მიწა და შენობა- ნაგებობა	ელევატორი	მანქანა - დანადგარები	საოფისე აღჭურვი ლობა	სატრანსპორ ტო საშუალებები	სულ
წმინდა საბალანსო ღირებულება:						
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,555	934	1,111	25	12	5,637
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,480	921	2,242	98	15	6,756
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,426	895	3,069	90	14	7,494

საბანკო სესხებიდან გამომდინარე ფინანსური და არაფინანსური ვალდებულებები

პროგრედიტ ბანკთან არსებული სესხის მიხედვით კომპანია ვალდებულია დაიცვას გარკვეული ფინანსური და არაფინანსური ვალდებულებები. 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია შესაბამისობაშია ამ მოთხოვნებთან.

შპს "ნუტრიმაქსი"

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

11. გადავადებული შემოსავალი

	მიწა
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,010
პერიოდის შემოსავლად აღიარება	(27)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	983
პერიოდის შემოსავლად აღიარება	(27)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	956

2015 წელს კომპანიამ სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან" მიიღო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული რკინიგზის ლიანდაგი 1 ლარის ნომინალური ღირებულებით. მიწის რეალური ღირებულება 1,179 ოდენობით კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ იქნა, როგორც გადავადებული შემოსავალი. "სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან" გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე კომპანიას წარმოექმნა გარკვეული უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც სრულად შესრულდა 2018 წლის ივლისში. მიწის რეალური ღირებულება ანგარიშგებაში წარდგენილ იქნა, როგორც გადავადებული შემოსავალი და ყოველწლიურად, სისტემატიურ საფუძველზე ამორტიზდება პერიოდის მოგება-ზარალში მასზე არსებული შენობის ცვეთის პროპორციულად.

12. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	3,047	2,999
გადასახდელი ხელფასები	228	-
როიალტი	-	120
მიღებული ავანსები	30	11
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	3,305	3,130

13. შემოსავლები

	2020 წლისათვის	2019 წლისათვის
ამონაგები მზა პროდუქციის გაყიდვიდან	35,449	24,819
ამონაგები მარაგების გაყიდვიდან	1,855	1,543
სულ შემოსავლები	37,304	26,362

14. გაყიდვების თვითღირებულება

	2020 წლისათვის	2019 წლისათვის
მზა პროდუქციის თვითღირებულება პირდაპირი შრომის ხარჯების, ცვეთის და სხვა ზედნადები ხარჯების გარეშე	26,621	18,744
პირდაპირი შრომის ხარჯები	691	614
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	351	287
სხვა ზედნადები ხარჯები	508	269
გაყიდული მარაგების თვითღირებულება	1,588	1,409
სულ გაყიდვების თვითღირებულება	29,759	21,323

15. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები

	2020 წლისათვის	2019 წლისათვის
ხელფასის ხარჯი	538	462
ტრანსპორტირების ხარჯები	463	531
გაყიდვისა და რეკლამის ხარჯები	136	172
საწყობის და მაღაზიის იჯარის ხარჯები	71	105
სხვა ხარჯები	108	38
სულ გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	1,316	1,308

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020 წლისათვის	2019 წლისათვის
ხელფასები	908	387
საგადასახადო და საპენსიო ხარჯები	249	150
საოფისე ხარჯები	194	149
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	126	105
ცვეთა და ამორტიზაცია	114	103
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	86	261
დაცვის ხარჯი	67	56
ტრანსპორტირების ხარჯი	54	37
ნოუჰაუს და საკონსულტაციო ხარჯები	51	307
საბანკო ხარჯი	50	42
შეკეთების ხარჯები	46	42
მივლინებისა და წარმომადგენლობითი ხარჯები	37	117
კომუნალური ხარჯები	32	28
საკომუნიკაციო ხარჯი	30	25
დაზღვევა	26	23
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	183	99
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2,253	1,931

17. ფინანსური ხარჯი (ნეტო)

	2020 წლისათვის	2019 წლისათვის
საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხებიდან	23	12
საპროცენტო ხარჯი მიღებულ სესხებზე	(618)	(505)
საპროცენტო ხარჯი იჯარაზე	(29)	(49)
ზარალი საკურსო სხვაობიდან (ნეტო)	(1,160)	(354)
სულ ფინანსური ხარჯი (ნეტო)	(1,784)	(896)

18. ფინანსური ინსტრუმენტები

	31.12.2020	31.12.2019
ფინანსური აქტივები		
ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	3,024	2,968
ფინანსური ვალდებულებები		
ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები	12,188	10,968

19. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

19.1 თავდებობა და გირავნობა დაკავშირებული მხარის საბანკო სესხების უზრუნველყოფის ფარგლებში.

კომპანია წარმოადგენს თავდებს (სოლიდარულ მოვალეს) და დამგირავებელს დაკავშირებული კომპანიის საბანკო სესხებზე. გენერალური ხელშეკრულებით კრედიტის ერთიანი ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც კომპანია წარმოადგენს სოლიდარულ მოვალეს, არის 3 მილიონი აშშ დოლარი. გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში საბანკო კრედიტი მიღებული აქვს დაკავშირებულ კომპანიას. ქვემოთ მოცემულია ამ გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში დაკავშირებული კომპანიის მიერ აღებული სესხების ჯამური ნაშთები:

	31.12.2020	31.12.2019
საბანკო სესხები	700	782
სულ ნასესხები საშუალებები	700	782

ამ სესხების ფარგლებში კომპანიას დაგირავებული აქვს აქტივები. ამ აქტივებთან დაკავშირებული დეტალები მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნა 3 - ში.

ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ ამ ურთიერთობიდან გამომდინარე, კომპანიიდან არ მოხდება მომავალში ფულადი ან სხვა სახის ეკონომიკური სარგებლის გასვლა და დაკავშირებული კომპანია დამოუკიდებლად მოემსახურება ზემოთ მოცემული სესხის თანხებს. ამ მიზეზთა გამო წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

20. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

2020 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის კომპანიას დამფუძნებლებთან, დირექტორთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

	დამფუძნებლები და ამავედროულად მენეჯმენტი	დამფუძნებლის საკუთრებაში არსებული კომპანია	სხვა მენეჯმენტი
მიღებული სესხები	655	-	-
გაცემული სესხები	62	135	-
გადახდილი დივიდენდები	639	-	-
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	-	292	-
საპროცენტო ხარჯი	60	-	-
საპროცენტო შემოსავალი	15	8	-
გამოცხადებული დივიდენდი	720	-	-
გაცემული დივიდენდი	1,016	-	-
შემოსავალი რეალიზაციიდან	-	621	-
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები (გადასახდელი)	228	-	-
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები (ხარჯი)	648	-	72

2019 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის კომპანიას დამფუძნებლებთან, დირექტორთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

	დამფუძნებლები და ამავედროულად მენეჯმენტი	დამფუძნებლის საკუთრებაში არსებული კომპანია	სხვა მენეჯმენტი
მიღებული სესხები	574	-	-
გაცემული სესხები	61	93	-
გადახდილი დივიდენდები	343	-	-
საპროცენტო ხარჯი	54	-	-
საპროცენტო შემოსავალი	9	3	-
გამოცხადებული დივიდენდი	316	-	-
გაცემული დივიდენდი	617	-	-
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები (ხარჯი)	152	-	68

21. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

დივიდენდი. 2021 წლის მაისში ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე კომპანიის მიერ გამოცხადდა დივიდენდი გასანაწილებლად 1,170 ოდენობით.

ბალანსის შედგენის შემდგომ არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 29 სექტემბერს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს „ნუტრიმაქს“-ს

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
მმართველობითი ანგარიშგება/საქმიანობის მიმოხილვა

მმართველობითი ანგარიში

1. კომპანია და მისი დამფუძნებლები

შპს ნუტრიმაქსი (ყოფილი აგრო თრეიდინგ ჯორჯია) დაარსდა 2008 წლის 8 მაისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არის ლიდერი საქართველოში კომბინირებული საკვების, საკვები დანამატების და კვების ტექნოლოგიების მიწოდების კუთხით. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 206330709. ნუტრიმაქსი დაარსების დღიდან არის უმსხვილესი ჰოლანდიური კომპანია Trouw Nutrition-ის პარტნიორი, რომლისგანაც იღებს როგორც უმაღლესი ხარისხის საკვებ დანამატებს, ასევე, მუდმივად განახლებად თანამედროვე ცოდნას კვების ტექნოლოგიასა და ფერმის მენეჯმენტში.

კომპანია დაკომპლექტებულია კომპეტენტური და მზარდი ახალგაზრდა გუნდით, რომელთაც აქვთ ამბიციაც და შესაძლებლობებიც შექმნან ახალი ღირებულება როგორც საქართველოს ბაზარზე, ასევე რეგიონალური მასშტაბით. დღეისათვის კომპანია უკვე ახორციელებს ექსპორტს სომხეთსა და აზერბაიჯანში და აქტიურად მუშაობს ამ რეგიონში გაყიდვების ზრდაზე.

2020 წლის 31 დეკემბრისთვის და 2019 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიის დამფუძნებლები და საწესდებო კაპიტალის მფლობელები არიან:

	წილი 31.12.2020- სთვის	წილი 31.12.2019- სთვის
ბექა ბექაია (01011022232)	30.40%	30.40%
ბესიკ ტოგონიძე (01025001997)	33.30%	33.30%
ხათუნა ლიპარტელიანი (01008032822)	33.30%	33.30%
სააქციო საზოგადოება სინერჯი კაპიტალი (405265797)	3.00%	3.00%

კომპანია მდებარეობს შემდეგ მისამართზე: ლევან ლოღობერიძის 67ბ, თბილისი, საქართველო. კომპანიის ღირეექტორია ბექა ბექაია.

2. საწარმოო სიმძლავრეები

2016 წლის სექტემბერში ნუტრიმაქსმა გახსნა ახალი, თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი, ევროპული სტანდარტების საკვების დამამზადებელ ქარხანა, რომლის წარმადობა წელიწადში 50 000 ტონაა. 2020 წლის მდგომარეობით კომპანია იყენებდა დაახლოებით წარმადობის 60 %-ს.



ნუტრიმაქსში ფუნქციონირებს ევრო სტანდარტების თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ლაბორატორია, რომელიც მუდმივად ამოწმებს როგორც ნედლეულის, ასევე მზა პროდუქციის ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

2017 წლის ბოლოს კომპანიამ წარმატებით დაასრულა ISO:22000 სერტიფიცირების პროცესი, დანერგა ხარისხის კონტროლის თანამედროვე პროცედურები.

2020 წლის მდგომარეობით ნუტრიმაქსის სავაჭრო ბრუნვა შეადგენს 37 304 000 ლარს, რაც წინა წელთან შედარებით 42%-ით მეტია. თუმცა აღსანიშნავია რომ ამონაგების ზრდაში გაყიდვების რაოდენობის ზრდის გარდა დიდი როლი ითამაშა გასაყიდი ფასების გაძვირებამ დოლარის კურსის ზრდის პარალელურად.

3. ფილიალების საქმიანობა.

2020 წლის მდგომარეობით კომპანია ფლობს მხოლოდ ერთ საკუთარ ფილიალს ქალაქ გორში. გორის მაღაზია ერთგვარი რეგიონალური გაყიდვების წერტილია და საცალო გაყიდვების გარდა ახორციელებს საბითუმო გაყიდვებსაც და შიდა ქართლის რეგიონში დისტრიბუციის სერვისსაც სთავაზობს მომხმარებლებს.

რეგიონებში გაყიდვებს უზრუნველყოფენ დილერები, რომლებიც მოქმედებენ როგორც დამოუკიდებელი მეწარმე სუბიექტები და საქონლის გადაცემისას რისკი და სარგებელიც გადაეცემათ, ამასთან ვალდებულნი არიან მარკეტინგული პოლიტიკა შეათანხმონ ნუტრიმაქსთან.


4. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები.

არა ფინანსური მაჩვენებლები:


- 1) მზა პროდუქციის წარმოების რაოდენობები (ათას ტონებში):

წელი	2020	2019	2018
ათასი ტონა	30,516	24,856	16,329


- 2) რაოდენობრივი გაყიდვების სტრუქტურა და დინამიკა (ათას ტონებში).



3) ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების ტენდენცია.



4) 2020 წლის ექსპორტის წილი მთლიან ბრუნვაში თითქმის იგივეა რაც 2019 წელს.



ფინანსური მაჩვენებლები (ათას ლარებში):

	2019	2020
შემოსავალი	26,362	37,304
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	21,323	29,759
საერთო მოგება	5,039	7,545
საერთო მოგების მარჟა	19.1%	20.2%
მიმდინარე აქტივები	7,235	8,682
მიმდინარე ვალდებულებები	8,494	9,684
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.85	0.90
წმინდა მოგება	880	2,117
წმინდა მოგების მარჟა	3%	5.7%

5. კვლევები და განვითარება.

2020 წელს კომპანია ნუტრიმაქსმა ჩაატარა კომპანიონი ცხოველების (ძაღლი, კატა) საკვების ბაზრის კვლევა და გააანალიზა სექტორის პოტენციალი, შეფასდა პროექტის პერსპექტივები და დაიგეგმა სამომავლოდ პროექტის დანერგვა. კომპანია პარალელურად ახორციელებდა სხვადასხვა სახის ღონისძიებებს თანამდეროვე ფერმის მენეჯმენტის, ცხოველთა კვების ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის ფერმერებამდე მიტანისთვის.

6. საკუთარი აქციების შეძენა

2020 წელს კომპანია ნუტრიმაქსს არ განუხორციელებია აქციების შეძენა.

7. განვითარების გეგმები

კომპანიის მომავალი განვითარების გეგმები შეიძლება შემდეგ ძირითად მიმართულებებად წარმოვიდგინოთ:

- ექსპორტის ზრდა.

2020 წელს გაიზარდა ექსპორტიდან შემოსავლები, ასევე ერთჯერადად გაიზარდა ექსპორტი განაში (შეადგინა 325K ლარი) თუმცა რაოდენობრივი ზრდა პანდემიიდან გამომდინარე ისეთი არ იყო როგორსაც კომპანია გეგმავდა, ამიტომ 2021 წლის გამოწვევაა ექსპორტის მოცულობის ზრდა და საექსპორტო ქვეყნების რაოდენობის ზრდა.

2021 წლისთვის ვგეგმავთ აზერბაიჯანის ბაზარზე გააქტიურებას, პროდუქტების რეგისტრაციას და გაყიდვების ზრდაზე მუშაობას, ასევე ვეცდებით განაში ექსპორტმა მიიღოს რეგულარული ხასიათი.

- ბროილერის ხორცის მწარმოებელი ინტეგრაცია, Contract Farming - ის სისტემის აწყობა.

კომპანია გეგმავს განვითარდეს ბროილერის ხორცის მწარმოებელი ინტეგრაცია, რომელიც იქნება ყველაზე ხარისხიანი ბროილერის ხორცის მიმწოდებელი საქართველოს ბაზარზე და რომლის უმთავრესი გრძელვადიანი მიზანი იქნება პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტზე გატანა. 2017 წლის მონაცემებით საქართველოში ქათმის ხორცის მოხმარება იყო 69 000 ტონა, საიდანაც ადგილობრივ წარმოებაზე მხოლოდ 22 000 ტონა მოდის. ბაზარი გვაძლევს საშუალებას მივაღწიოთ დაგეგმილ გაყიდვებს, ასევე შევქმნათ წარმატებული ფერმის მენეჯმენტის მაგალითი.

- ექსტრუდირებული საკვების მწარმოებელი საწარმოს მშენებლობა.

აღნიშნული წარმოება არის შედარებით უფრო მაღალტექნოლოგიური, საჭიროებს ექსტრუდირებას და არ აქვს ანალოგი საქართველოში. გათვლილი იქნება როგორც საქართველოს ბაზარზე იმპორტის ჩანაცვლებისთვის ასევე საექსპორტოდაც.

8. დასაქმებულთა რაოდენობა

2020 წელს დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენდა 56 ადამიანს. ხოლო 2019 წელს საშუალო მაჩვენებელი იყო 52 ადამიანი. აღსანიშნავია რომ რთული პანდემიური წლის მიუხედავად კომპანიას არ შეუმცირებია არც ერთი სამუშაო პოზიცია და თავად უზრუნველყოფდა თანამშრომელთა ტრანსპორტირებას სამუშაო ადგილამდე. სეზონურად და საწარმოო დანადგარების დამატების პერიოდში მუდმივი შტატის გარდა კომპანია იმატებს დროებით თანამშრომლებს 15-20 ადამიანს.

2021 წლისთვის კომპანია გეგმავს ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამების დაწყებას სხვადასხვა მიმართულებით.

9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.

	რისკების და გაურკვევლობების ახსნა	მენეჯმენტის ქმედება
1	სავალუტო რისკი - კომპანიას აქვს საბანკო და სალიზინგო ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში - აშშ დოლარში. გადაფასების ეფექტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წმინდა მოგებაზე.	ახალი სესხების აღებისას მენეჯმენტი უპირატესობას ანიჭებს ვალდებულებების ეროვნულ ვალუტაში აღებას. ასევე აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ექსპორტის ზრდაზე და შესაბამისად დოლარში შემოსავლების გაზრდაზე.
2	საეჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული რისკები	შეიქმნა დებიტორული დავალიანების მართვის პოლიტიკა, რომელის საშუალებითაც განისაზღვრება დებიტორული დავალიანების დასაშვები ლიმიტები და ხდება რეგულალური სისტემური კონტროლი.
3	მნიშვნელოვნად გაზრდილი ნედლეულის ფასები	მნიშვნელოვნად მოიმატა მარცვლეულზე და შროტებზე (სიმინდი, ხორბალი, სოიოს და მზესუმზირის შროტი) ფასებმა, რამაც გაზრდა ჩვენს მიერ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაც. მენეჯმენტი ცდილობს თვალი ადევნოს მოსალოდნელ ცვლილებებს და შეძლებისდაგვარად რეაგირება მოახდინოს, თუმცა ვერ ხერხდება ფასების იმ მასშტაბით ზრდა რა მასშტაბითაც ძვირდება ნედლეული, რაც ქმნის მომგებიანობის შემცირების საშიშროებას.
4	მარაგების გაუფასურებასთან დაკავშირებული რისკები	მარაგების ბრუნვადობის რეგულარული კონტროლითა და ინვენტარიზაციებით მინიმუმამდეა დაყვანილი გაუფასურების რისკები.
5	პანდემიიდან გამომდინარე გადაზიდვის ფასების ზრდა და შეფერხებები	2020 წლიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა ტრანსპორტირების ხარჯები, ასევე გაჩნდა საშიშროება ნედლეულზე წვდომის შენელების. აღნიშნული რისკის შემცირების მიზნით კომპანიას მოუწია მინიმალური ნაშთების გაზრდა და მეტი საბრუნავი სახსრების მობილიზება.

10. გარემოს დაცვის საკითხებზე თუ რამე ტიპის ზეგავლენას ახდენს კომპანია და ჩატარებული აქვს რამე სახის კვლევა

კომპანიას არ განუხორციელებია გარემოს დაცვითი კვლევა, თუმცა ვინაიდან წარმოებული პროდუქტები ცხოველთა კვებისთვისაა განკუთვნილი არ შეიცავს ტოქსიურ მინარევებს და ამ კუთხით არ ხდება გარემოს დაბინძურება.

კომპანია აპირებს მაღალი მტვრიანობის მქონე ადგილებში ასპირაციის სისტემის მონტაჟს, რაც უზრუნველყოფს გამოფრქვეული მტვრისა და დანაკარგების შემცირებას.

11. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა-განმარტებები

კომპანიის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ ჭირდება დამატებითი ახსნა-განმარტებები.

2020 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის დირექტორის მიერ 2021 წლის 29 სექტემბერს.

ბნ. ბექა ბექაია , დირექტორი

შპს "ნუტრიმაქსის" მმართველობითი ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

11. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა-განმარტებები

კომპანიის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ ჰქონდა დამატებითი ახსნა-განმარტებები.

2020 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის დირექტორის მიერ 2021 წლის 29 სექტემბერს.

ბნ. ბექა ბექაია , დირექტორი

About Baker Tilly

Baker Tilly is a full-service accounting and advisory firm that offers industry specialised services in assurance, tax and advisory.

Baker Tilly Georgia LLC trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.



Contact us

Baker Tilly Georgia LLC
BC Menteshvili Rows
Tbilisi 0105, Georgia
7 Bambis Rigi Street
office@bakertilly.ge
T: +995 032 2 483 999
www.bakertilly.ge